


შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

ჩ ა ო

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2019 წელი



შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს ჩაო სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	4	671,193	644,216
სხვა შემოსავლები		2,792	448
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		10,745	8,780
მარაგის შეძენა		(63,782)	(53,777)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(184,444)	(166,540)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(88,548)	(91,153)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	5	(52,598)	(45,609)
საგადასახადო ხარჯი		(4,797)	(30,198)
სხვა ხარჯი	6	(15,836)	(15,368)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		274,726	250,799
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(77,311)	(32,195)
ფინანსური ხარჯი		(85,435)	(89,892)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		111,981	128,712
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		111,981	128,712

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

შპს ჩაო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7 2,897,566	2,968,480	3,042,703
არამატერიალური აქტივები	8 -	52	107
სულ გრძელვადიანი აქტივი	2,897,566	2,968,532	3,042,810
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	9 36,953	26,216	17,436
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10 1,077,658	1,066,751	1,064,130
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	32,072	13,603	21,598
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11 64,497	82,473	53,344
სულ მიმდინარე აქტივები	1,211,181	1,189,043	1,156,508
სულ აქტივები	4,108,746	4,157,575	4,199,318
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2,290,192	2,290,192	2,290,192
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	744,728	686,781	558,069
სულ საკუთარი კაპიტალი	3,034,920	2,976,973	2,848,261
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12 1,063,591	1,173,514	1,312,983
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,063,591	1,173,514	1,312,983
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13 5,138	2,604	35,029
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	5,097	4,484	3,046
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	10,235	7,089	38,075
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,108,746	4,157,575	4,199,318

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

შპს ჩაო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2017 წაშთი	2,290,192	558,069	2,848,261
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	128,712	128,712
გაცემული დივიდენდი			-
31.12.2018 წაშთი	2,290,192	686,781	2,976,973
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	111,981	111,981
გაცემული დივიდენდი	-	(54,034)	(54,034)
31.12.2019 წაშთი	2,290,192	744,728	3,034,920

დირექტორი



თამაზ მახარაძე

მთ. ბუღალტერი

[Signature]

დათო ზოიძე

შპს ჩაო

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	778,978	753,284
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(142,317)	(164,188)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(144,190)	(134,100)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	492,472	454,995
გადახდილი გადასახდელები	(164,409)	(144,332)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	328,063	310,663
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	328,063	310,663
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(19,967)	(19,879)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	(50,000)	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(69,967)	(19,879)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის შირის გადახდა	(190,771)	(171,774)
სესხის პროცენტის გადახდა	(85,435)	(89,892)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	649	907
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(514)	(897)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(276,071)	(261,655)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(17,976)	29,129
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	82,473	53,344
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	64,497	82,473

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჩაო ს.ნ 445402617, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 27.10.2011 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძეს ქ. 75, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძეს ქ. 75. საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი თამაზ მახარაძე (პ/ნ:61001010137).

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების მიწოდება, ასევე ქონების იჯარით გაცემა შემოსავლის მიღების მიზნით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	-2 %
✓ მანქანა დანადგარები	- 10-15%
✓ საოფისე აღჭურვილობა	-20-30%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	-14-20%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
✓ სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)		
დასახელება	31.12.19	31.12.2018
1 სასტუმროს ნომრების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	517,366	552,691
2 საიჯარო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	153,828	91,525
ჯამი:	671,193	644,216

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)		
დასახელება	31.12.19	31.12.2018
1 სარეკლამო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი	4,486	1,690
2 ბუნებრივი აირის ხარჯი	10,056	9,959
3 ელექტრო ენერგიის ხარჯი	12,610	8,659
4 წყლისა და კანალიზაციის მომსახურების ხარჯი	5,153	7,136
5 დასუფთავების მოსაკრებელი	1,058	1,066
6 საკაბალო ტელევიზიის მომსახურების ხარჯი	540	540
7 საკომუნიკაციო ხარჯი	3,241	3,528
8 სხვა მომსახურების ხარჯი	15,454	13,032
ჯამი:	52,598	45,609

6. სხვა ხარჯები

(ლარი)		
დასახელება	31.12.19	31.12.2018
1 მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	13,084	12,282
2 დახმარების და ქველმოქმედების ხარჯი	1,372	2,000
3 არასაგადასახადო ხარჯი	-	101
4 სხვა მომსახურების ხარჯი	1,380	985
ჯამი:	15,836	15,368

7. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2019	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2018
1 დაუმთავრებელი მშენებლობა	3,390			3,390
2 შენობა-ნაგებობა	3,348,553			3,348,553
3 მანქანა დანადგარები	84,922	236		84,686
4 ოფისის აღჭურვილობა	27,283	1,033		26,250
5 ავეჯი და სხვა ინვენტარი	188,541	16,312		172,229
6 სატრანსპორტო საშუალებები	9,000			9,000
ჯამი:	3,661,689	17,581	-	3,644,108

ცვეთა	ნაშთი 31.12.2019	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2018
1 შენობა-ნაგებობა	551,778	67,898		483,880
2 მანქანა დანადგარები	45,355	6,946		38,409
3 ოფისის აღჭურვილობა	21,403	2,987		18,416
4 ავეჯი და სხვა ინვენტარი	137,188	10,665		126,523
5 სატრანსპორტო საშუალებები	8,400			8,400
ჯამი:	764,124	88,496	-	675,628
საბალანსო ღირებულება	2,897,566	-	-	2,968,480

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2019	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2018
1 ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	610	-	-	610
ჯამი:	610	-	-	610

ცვეთა	ნაშთი 31.12.2019	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2018
1 ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	610	52		557
ჯამი:	610	52	-	557
საბალანსო ღირებულება	-	-	-	52

9. მარაგი

		(ლარი)	
	დასახელება	31.12.19	31.12.18
1	სარეალიზაციო საქონელი	840	965
2	ნედლეული და მასალები	2,473	1,879
3	დაუმთავრებელი წარმოება	-	13
4	მზა პროდუქცია	5,410	5,887
5	სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	28,231	17,472
	ჯამი:	36,953	26,216

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

		(ლარი)	
	დასახელება	31.12.19	31.12.2018
1	სავაჭრო მოთხოვნები	17,627	4,753
3	მოთხოვნა პერსონალთან	0	2,981
4	გადახდილი ავანსები	1,060,031	1,059,017
	ჯამი:	1,077,658	1,066,751

11. ფულადი სახსრები

		(ლარი)	
	დასახელება	31.12.19	31.12.2018
1	ფული საბანკო ანგარიშზე	58,570	25,744
3	ნაღდი ფული სალაროში	5,927	56,729
4			
	ჯამი:	64,497	82,473

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

		(ლარი)	
	დასახელება	31.12.19	31.12.2018
1	სესხის ხელშეკრულება # თარიღი:	-	68,388
2	სესხის ხელშეკრულება # თარიღი:	1,063,591	1,105,126
	ჯამი:	1,063,591	1,173,514

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

		(ლარი)	
	დასახელება	31.12.19	31.12.2018
1	სავაჭრო ვალდებულებები	5,138	2,604
2	ვალდებულება პერსონალთან	-	-
	ჯამი:	5,138	2,604

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 1 მარტს.

დირექტორი



თამაზ მახარაძე

მთ. ბუღალტერი

დათო ზოიძე